საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები

2025

29.07.2026
www.geostat.ge

29.07.2026

ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები
(2025 წელი)

2025 წელს საქართველოში 232 საავადმყოფო ფუნქციონირებდა. საწოლთა ფონდი წინა წელთან შედარებით 1.8 პროცენტით გაიზარდა და 15.2 ათასი შეადგინა.

2025 წელს 2 318 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება იყო. აღნიშნულ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვის 16.8 მილიონი შემთხვევა დაფიქსირდა, რაც 6.0 პროცენტით აღემატება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სამედიცინო დაწესებულებებში ექიმების რიცხოვნობამ 22.5 ათასი შეადგინა, ხოლო საექთნო პერსონალის რიცხოვნობამ - 21.3 ათასი.

2025 წლის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით რეგისტრირებული დაავადებების (პირველად დადგენილი დიაგნოზით) რაოდენობა ყველაზე მეტად გაზრდილია შემდეგ ჯგუფებში: თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები (14.2 პროცენტი), სიმსივნეები (12.7 პროცენტი), ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები (10.6 პროცენტი), ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები (8.9 პროცენტი), თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები (6.8 პროცენტი).

ავადობის ძირითადი ჯგუფებიდან მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო სასუნთქი სისტემის, თვალისა და მისი დანამატების, ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების, სისხლის მიმოქცევის სისტემის და შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები.

2025 წელს შიდსით დაავადების 562 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა, რაც 53 ერთეულით ნაკლებია 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შიდსით დაავადებულთა კუმულატიური რიცხოვნობა 11 568 ერთეულით განისაზღვრა. 2025 წელს შიდსით 150 პირი გარდაიცვალა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია აივ ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების რაოდენობა 2015-2025 წლებში.

29.07.2026

დიაგრამა №1

აივ ინფექციის/შიდსის ახალი შემთხვევების რაოდენობა

(კაცი)



2025 წელს, წინა წელთან შედარებით ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რაოდენობა 7.3 პროცენტით ნაკლები იყო. ტუბერკულოზით დაავადებული მოსახლეობის რიცხოვნობა 12.9 პროცენტით შემცირდა და 1 142 შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ტუბერკულოზით დაავადებული მოსახლეობის რიცხოვნობა 2015-2025 წლებში.

დიაგრამა №2

ტუბერკულოზით დაავადებული მოსახლეობის რიცხოვნობა

(კაცი)



2025 წელს სასწრაფო დახმარების მეშვეობით პირველადი სამედიცინო დახმარება დაახლოებით 1.15 მილიონ ადამიანს გაეწია, საიდანაც შემთხვევების 99.0 პროცენტი უცაბედ ავად გახდომას უკავშირდებოდა.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge